**დამტკიცებულია:**
**ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის**
**გალობის უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის**
**№03 ბრძანებით (დანართი 34)**

# ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა

2023

## I. შესავალი

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერაიტეტს“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) პრიორიტეტად აქვს დასახული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისა დაცვის საკითხები. უნივერსიტეტი უზურნველყოფს უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს. უნივერსიტეტის მენეჯმენტს გაცნობიერებული აქვს მაღალი პასუხისმგებლობა იზრუნოს, როგორც დასაქმებულების, ასევე სტუდენტების უსაფრთხოებაზე. მენეჯმენტი მიისწრაფვის მიმდინარე სამუშაო და სასწავლო პროცესებისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისკენ.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ადასტურებს თავის ვალდებულებას დაიცვას, როგორც საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები, ასევე აღიარებული უსაფრთხოების მოთხოვნები.

## II. შრომის უსაფრთხოების სიტემის მართვა

უნივერსიტეტმა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა დაინერგა შემდეგი მიზეზების გამო:

1. **მორალური** - როდესაც შრომის უსაფრთხოების არასათანადო სამუშაო გარემოს გამო, მომხდარი უბედური შემთხვევები, ტრავმები თუ პროფესიული დაავადებები დიდ გავლენას ახდენს არა მარტო მათზე, არამედ მათი ოჯახის წევრებზე, მეგობრებსა და კოლეგებზე, მსგავსი ფაქტები მორალურად მიუღებელია.

2. **სამართლებრივი** - შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა წარმოადგენს სავალდებულო ნორმებს და უნივერსიტეტი მუდმივად მზადაა შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებები.

3. **ფინანსური** - შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა უნივერსიტეტს შეუმსუბუქებს და თავიდან აარიდებს უბედურ შემთხვევებთან და პროფესიულ დაავადებებთან დაკავშირებულ ხარჯებს. შრომის უსაფრთოების წესების დაუცველობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს უნივერსიტეტს, ასევე შესაძლოა გამოიწვიოს უნივერსიტეტის საქმიანობისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან საქმიანი რეპუტაციის შელახვა.

ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, კორპორაციული პასუხისმგებლობის პრინციპზე დაყრდნობით, უნივერსიტეტში შეიქმნა წინამდებარე შრომის უსაფრთოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი.

უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას აწარმოოს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვა. შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სიტემის მთავარ ელემენტებად განვიხილავთ პოლიტიკას, ორგანიზებას, დაგეგმვას, დანერგვას, შეფასებასა და სრულყოფის ღონისძიებებს. ამასთან, შრომის უსაფრთხოების სიტემა აგებულია შემდეგ მოდელზე:




## III. რისკების შეფასება და მართვა

უნივერსიტეტი აცნობიერებს თავის წილ მაღალ პასუხისმგებლობას, რომ სამუშაო ადგილებზე მუდმივ რეჟიმში წარმოიქმნება საფრთხეები და მათი საკონტროლო ღონისძიებები მენეჯმენტის მთავარი გამოწვევაა.

რისკის მართვა წარმოადგენს საფრთხეების იდენტიფიცირების, შეფასების, მონიტორინგის და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით.

რისკის მართვა წარმოადგენს ორგანიზაციის სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს.

რისკის მართვის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების

გატარება. რისკის მართვის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს პოტენციური დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს ორგანიზაციის საქმიანობაზე.
ორგანიზაციის ზოგადი რისკის შეფასება უნდა გამოხატავდეს არსებულ საფრთხეებს და ზოგადი კონტროლის ზომებს. პირველ რიგში უნდა დასრულდეს ასეთი რისკის შეფასება და შემდეგ, უფრო კონკრეტული რისკის შეფასებები, რომლებიც შეისწავლიან ინდივიდუალურ საქმიანობებს.

რისკების შეფასების პროცესის ხუთი საფეხურია:

- საფრთხეების იდენტიფიცირება;
- იმის განსაზღვრა, თუ ვინ შეიძლება იქნეს დაზარალებული და როგორ;
- რისკების გაანაალიზება და იმის განსაზღვრა, არის თუ არა არსებული კონტროლის ზომები ადეკვატური ან საჭიროა თუ არა მეტის გაკეთება;
- მნიშვნელოვანი დასკვნების ჩანაწერების გაკეთება;
- შეფასებების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში განხილვა.

რისკების კონტროლი

რისკების კონტროლის ზომები (საპასუხო ღონისძიებები) არის: თავის არიდება (მაგ.: თუ რისკი არის მიუღებელი შესაძლებელია მისი თავიდან არიდება, იმ გადაწყვეტილების არმიღების და იმ ღონისძიების არგანხორციელების გზით, რაც იწვევს რისკის წარმოქმნას), კონკრეტული საპასუხო ქმედებების განხორციელება, შეგუება და მონიტორინგი (მაგ. რისკი მისაღებია და ხდება მასთან შეგუება და მონიტორინგი იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული საპასუხო ქმედებების განხორციელება არაპრაქტიკული ან შეუძლებელია. ასევე, შეგუებას და მონიტორინგს ვახდენთ ისეთ რისკებზე, რომელთა ზემოქმედების დონე უმნიშვნელოა, მაგრამ რომელთა მახასიათებლები შესაძლებელია მომავალში შეიცვალოს) და ა.შ.
რისკის შეფასების შედეგად, მიიღება გადაწყვეტილება, თუ
რა სახის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს გამოვლენილი რისკების კოტროლისთვის და როგორია ყველაზე უფრო ეფექტიანი საპასუხო ღონისძიებების სტრატეგია.

არსებული კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასებისას ან ახალი საპასუხო ღონისძიების (დამატებითი კონტროლის ზომის) შემოღებისას უნდა გავითვალისწინოთ რისკების კონტროლის იერარქია, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად:

1. აღმოფხვრა: საფრთხის წყაროს მოშორება;
2. ჩანაცვლება: მასალების ან პროცესების ნაკლებად სახიფათო მასალებით ან პროცესებით ჩანაცვლება;
3. საინჟინრო კონტროლის განხორციელება: საფრთხის წყაროსთან წვდომის თავიდან აცილება; ადმინისტრაციული კონტროლი: პროცედურებისა და ინსტრუქციების შექმნა შრომის უსაფრთხოებისათვის და ზედამხედველობის მექანიზმების შემუშავება;
4. ადმინისტრაციული კონტროლი: წესების შემუშავება-ცვლილება; სწავლება.
5. ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობა: მას შემდეგ, რაც ყველა ზემოხსნებული იქნება

გათვალისწინებული, გამოყენებული ან/და აღმოჩნდება არაეფექტური.

დამატებითი კონტროლის ზომებს შორის საუკეთესოს შერჩევა მოიცავს ყოველი სახის ღონისძიების ხარჯისა და სარგებლის შედარებას. რისკის მართვის ღირებულება უნდა იყოს შესაბამისი იმ სარგებლისა, რაც მიიღება ამ მართვის შედეგად. როდესაც ხორციელდება ხარჯის სარგებელთან შედარება, გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული გარემო და ვითარება. მნიშვნელოვანია, მხედველობაში მიღებულ იქნას ყველა პირდაპირი და ირიბი ხარჯი და სარგებელი, (როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური) მოხდეს მათი შეფასება ფინანსური ან სხვა მეთოდით.იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი კონტროლის ზომების ბიუჯეტი არის შეზღუდული, ღონისძიებების გეგმამ ზუსტად უნდა ასახოს ის პრიორიტეტები, რომელსაც დაეფუძნება გეგმა.

## IV. პერსონალის სწავლება

უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი ვალდებულია გაიარონ შესავალი (უფლება-მოვალეობები და უსაფრთხო შრომის პრინციპები) ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოებაზე, სახანძრო უსაფრთხოებაზე, საგანგებო სიტუაციებისა და ევაკუაციის დროს ქცევის წესებზე. ასევე, შესაბამისმა პერსონალმა უნდა გაიარონ მომზადება კონკრეტული სპეციფიკური სამუშაოსთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხებში.

ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გაეცნოს თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და უსაფრთხოების წესებს.

## V. დისციპლინური პოლიტიკა

შრომის უსაფრთხოების სათანადოდ უზრუნველყოფა რთულია გარკვეული ტიპის დისციპლინარული პოლიტიკის გატარების გარეშე. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შენარჩუნებისთვის აუცილებელია, ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ მოთხოვნების დაცვა.

უნივერსიტეტში მოქმედი დისციპლინარული პოლიტიკა გამოყენებული იქნება შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების გამოვლენისას, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, მოქმედებს შესაბამისი დისციპლინარული პასუხისმგებლობის ადეკვატური ზომები, რომელიც დადგენილია უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და სხვა მარეგულირებელი აქტებით.

## VII. მონიტორინგი და ანგარიშგება

გამოვლენილი საფრთხეებისა და რისკების პროფილაქტიკური ღონისძიებების ჯეროვანი განხორციელების შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტში წარმოებს პერიოდული მონიტორინგი. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ჩაატაროს შიდა

ინსპექტირებები და შეამოწმოს, რამდენად სწორად მიმდინარეობს რისკების კონტროლის პროცესი, ასევე, აღნიშნული მონიტორინგი ხელს უწყობს ახალი საფრთხეების იდენტიფიცირებას, რაზეც წარმოებს შესაბამისი ანგარიშგება მმართველ რგოლთან. მონიტორინგის შედეგები ჩაინიშნება, დამუშავდება და განიხილება მენეჯმენტთან ერთად, შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით.